საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 398/ს
13/10/2022

398-21-4-202210131423

ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში შპს „ხონის პლანტაციების“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ხონის პლანტაციების“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 15 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს "ხონის პლანტაციების" კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073048 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ხონის პლანტაციების“ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში 199,723 $მ^2$ ჯამური ფართობის მქონე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 37.10.38.352; 37.10.38.351; 37.10.38.350) გაშენებული აქვს შავი მოცვის ბაღები, სადაც დარგული აქვს 60 000-მდე ერთეული შავი მოცვის ნერგი. საპროექტო ტერიტორიიდან ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ:37.10.38.352) წარმოადგენს შპს „ხონის პლანტაციების“, ერთი - (ს/კ: 37.10.38.350) შპს „ბლუბერის“, ხოლო ერთი (ს/კ:37.10.38.351) - შპს „აგრო კულტურას“ საკუთრებას. აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს ერთმანეთის მომიჯნავედ, რომელთაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს შპს „ხონის პლანტაციები“. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 191 მეტრში, ხოლო ტუმბოს განთავსების წერტილიდან - დაახლოებით 370 მეტრში. საპროექტო მიწის ნაკვეთებს მთელ სიგრძეზე დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება სახელმწიფო ტყე. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი უსახელო მდინარე მიედინება მიწის ნაკვეთების დასავლეთ საზღვარზე. უსაფრთხოების მიზნით, მიწის ნაკვეთი შემოღობილია და უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება ხდება უსახელო მდინარიდან, რომელიც მიუყვება პლანტაციის დასავლეთ საზღვარს და უერთდება მდინარე ცხენისწყალს. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X -

282560.22; Y - 4684150.35. მდინარიდან წყალაღება ხდება 7 მ სიგრძის (დიამეტრი 30 სმ) მქონე პოლიეთილენის მილით, რომელშიც წყალი შედის თვითდინებით და მიეწოდება ფილტრს, რომლის გავლითაც წყალი ტუმბოს საშუალებით გადადის გამანაწილებელში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფილტრი და ტუმბო (50 $მ^3$/სთ) განთავსებულია ლითონის კონსტრუქციის შენობაში. ტუმბოს განთავსების GPS კოორდინატებია: X – 282562; Y - 4684155. გამანაწილებლიდან წყალი გადადის 900 მ სიგრძის (დიამეტრი 90 მმ) მქონე მაგისტრალურ მილებში, რომელზეც მიერთებულია 1 300 მ სიგრძის (დიამეტრი 63 მმ) მქონე მილები, რომლითაც წყალი ნაწილდება, 60 500 მ სიგრძის (დიამეტრი 12–25 მმ) მქონე სარწყავ მილსადენებში, რომლებიც აღჭურვილია საწვეთურებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, მოცვის ბაღების მოსარწყავად, წელიწადში გათვალისწინებულია 18 000 $მ^3$ წყლის აღება. უსახელო მდინარიდან წყლის სარწყავად გამოყენება მოხდება სეზონურად, 3 თვის (ივნისი, ივლისი, აგვისტო) განმავლობაში. სარწყავად ასაღები წყლის რაოდენობა, თითოეულ თვეს შეადგენს 6 000 $მ^3$-ს. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით უსახელო მდინარიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროები წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებისას ადგილი არ ექნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებას.

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბო. ვინაიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტუმბოს განთავსებიდან დაშორებულია დაახლოებით 370 მეტრით, ასევე ტუმბოს სიმძლავრისა და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტუმბო განთავსებულია ლითონის კონსტრუქციის შენობაში, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის შედეგად ადგილი არ აქვს ნარჩენების (მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების) წარმოქმნას, რადგან ტერიტორიაზე არ არის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო მიწის ნაკვეთებს მთელ სიგრძეზე დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება სახელმწიფო ტყე. ტყის კონტურისა და პლანტაციის დასავლეთ საზღვარი ერთმანეთისაგან გამოყოფილია მდინარის კალაპოტით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და იმის გათვალისწინებით, რომ სამელიორაციო სისტემისთვის განკუთვნილი მილსადენის დერეფანი არ კვეთს აღნიშნულ ტყეს, სარწყავი სისტემის მოწყობითა და ექსპლუატაციით სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება არ იგეგმება, შესაბამისად ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყალაღების წერტილის მიმდებარედ არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლეები, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად, კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში, შპს „ხონის პლანტაციების“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ხონის პლანტაციები“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ხონის პლანტაციებს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ხონის პლანტაციების“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო